

სურსათის უვნებლობის რეგულირება ევროკავშირში

სურსათის უვნებლობის რეგულირება ევროკავშირის საერთო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ რისკებს პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს. წლების მანძილზე სურსათის უვნებლობის რეგულირების მექანიზმი არაერთხელ იქნა შეცვლილი და განახლებული. მისი ტრანსფორმაციისა და სრულყოფის პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს, რადგან ასეთი ინსტიტუციონალური ცვლილებების მიზეზს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, კერძოდ:

- სოფლის მეურნეობაში ახალი საწარმოო მეთოდების დანერგვის, კვების მრეწველობაში გაუმჯობესებული და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად სულ უფრო მეტად იზრდება მიწოდებული სურსათის როგორც მოცულობა, ასევე ასორტიმენტი. ამის შედეგად, მომხმარებელს გაუჩნდა საშუალება აირჩიოს მისთვის მისაღები დასახელების პროდუქტი, მათ შორის ორგანული, ასევე გენმოდირებული ორგანიზმების შემცველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბაზარზე გამოჩენილი ახალი პროდუქტის უსაფრთხოებისა და უვნებლობის დონე სრულყოფილად არ არის შესწავლილი;
- უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ევროკავშირის ქვეყნებში არაერთხელ აღინიშნა საკვების მიწოდებასა და მის უვნებლობასთან დაკავშირებული საფრთხეები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მომხმარებლის ნდობის ხარისხი ხელისუფლების მიმართ სასურსათო რისკების შეფასებასა და მართვის საკითხებში;
- მართალია მოსახლეობის მატებამ და განსაკუთრებით ტურისტების მოზღვავებამ გამოიწვია სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა შესაბამისად, ასევე გამოიწვია სხვადასხვა სახის დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმებისა და ვირუსების გლობალურ დონეზე გაჩენისა და გავრცელების საშიშროებაც;
- სასურსათო უვნებლობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვა, რომელიც კვლავაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

ამკარაა, რომ ევროკავშირში სურსათის უვნებლობის რეგულირება მომხმარებლის ინტერესებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფის გარანტს წარმოადგენს.

საზოგადოდ, ევროკავშირის დონეზე სურსათის უვნებლობის სფეროში მიმდინარე ყველა ძირითადი ინსტიტუციონალური ცვლილება საფუძვლად ემყარება ახალ ინტეგრირებულ მიდგომას – “ფერმიდან სუფრამდე”, რაც თავის მხრივ გულისხმობს: სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკების მრავალმხრივი შეფასებისა და მათი მართვის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნის აუცილებლობის დანერგვას, აქცენტირებას მომხმარებლის დაცვაზე, დემოკრატიული ნორმების ჩამოყალიბებასა და ახალი სახის მარეგულირებელი ორგანოს შექმნას.

2002 წელს, ახალი ინტეგრირებული მიდგომის – “ფერმიდან სუფრამდე” საფუძველზე, მიღებული იქნა რეგულირება № 178/2002, რომელიც სურსათის უვნებლობის რეგულირების საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს და სახელწოდებით ევრორეგულაცია “სურსათის შესახებ” არის ცნობილი. იგი იმ მთავარ პრინციპებს, პროცედურებსა და ვალდებულებებს მოიცავს, რაც სასურსათო პოლიტიკასთანაა დაკავშირებული და უზრუნველყოფს ევროპის სასურსათო ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირების შესაძლებლობას. რეგულაციის მიზანია, უზრუნველყოს მომხმარებლის ინტერესებისა და ჯანმრთელობის უმაღლეს დონეზე დაცვა, ისევე როგორც, დაიცვას მომხმარებელი ყალბი და არაჯანსაღი პროდუქციისაგან. რეგულაცია ითვალისწინებს იმ სავალდებულო ნორმების დაწესების აუცილებლობას, რომლებიც სურსათის შეფუთვისა და რეკლამირებასთან არის დაკავშირებული, რათა მომხმარებელი შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი.

ამკარაა, რომ უპირველესი პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფაზე, სურსათისა და საკვები პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე მოდის. “საკვები არ უნდა გამოჩნდეს ბაზარზე, თუკი იგი საფრთხეს უქმნის ბაზარს” – აღნიშნულია რეგულაციაში და იგულისხმება, რომ ბიზნესის მიერ განხორციელებული ოპერაცია, კერძოდ, პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და განაწილების/გასაღების ყველა ეტაპი შესაბამისობაში მოდიოდეს საკანონმდებლო მოთხოვნასთან. ამასთანავე, რეგულაციით სავალდებულოა, რომ საბაზრო მიმოქცევიდან დროულად იქნეს ამოღებული ის საკვები პროდუქტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული რეგულაციის თანახმად, სასურსათო პოლიტიკის უმთავრეს კომპონენტს რისკების ანალიზი წარმოადგენს. რისკების განმარტება შესაბამისობაში მოდის იმ ზოგად განსაზღვრებასთან, რასაც რისკების შეფასებისას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და კოდექს ალიმენტარიუსის კომისია (The Codex Alimentarius Commission) იყენებენ (ორივე მათგანი სურსათის უვნებლობის რეგულირების უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანოს წარმოადგენს). რეგულაციაში აღნიშნულია: “სასურსათო პოლიტიკა საფუძვლად უნდა

ემყარებოდეს რისკების ანალიზს ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ასეთი რისკების ანალიზი შესაძლებელია, გამონაკლისი შემთხვევების გარდა”.

რისკების ანალიზი მოიცავს შემდეგი სამი სახის საქმიანობას:

- ა) რისკების გამოვლენა და შეფასება;
- ბ) რისკების მართვა;
- გ) რისკების შეტყობინება, კომუნიკაცია

რისკების გამოვლენა და შეფასება.

ევრორეგულაციის თანახმად, რისკების შეფასება მეცნიერულად დასაბუთებული სასურსათო საფრთხეების პოლიტიკური მნიშვნელობის განსაზღვრას გულისხმობს. იგი მოიცავს საფრთხის იდენტიფიკაციას, მის დახასიათებას, გამოძიებასა და ამ საფრთხეებთან დაკავშირებული რისკების თავისებურებებს. გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ ევროკავშირის სურსათის უვნებლობის რეგულირება უნდა ეფუძნებოდეს “შეფასებულ განსაზღვრულ მეცნიერულ საწყისებს” და “ეფექტიან ორგანიზაციულ შეთანხმებებსა და პროცედურებს”. სწორედ ამ მიზნების განხორციელებაა გათვალისწინებული სურსათის უვნებლობის ევროპული სამმართველოს საქმიანობაში, რომელიც ერთ-ერთია ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ შექმნილ მრავალ ორგანიზაციათა შორის. 2005 წლიდან მისი სათაო ოფისი იტალიის ქალაქ პარმაში მდებარეობს. ამ სამმართველოს მიზანს ევროკავშირის დონეზე სურსათის უვნებლობის რეგულირების გაღრმავება და გაუმჯობესება წარმოადგენს. მისი საქმიანობა დამყარებულია გამჭვირვალობის, დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფაზე. ზოგადად მიიჩნევენ, რომ სწორედ ასეთი სახის დამოუკიდებელი, მეცნიერთა და ექსპერტებით დაკომპლექტებული სამმართველო, უფრო ეფექტიანად შესძლებს საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და საქმიანობის წარმატებით გაძღოლას. სურსათის უვნებლობის ევროპული სამმართველო ასევე პასუხისმგებელია სურსათთან დაკავშირებული ერთიანი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფაზე.

სურსათის უვნებლობის ევროპული სამმართველოს ფუნქციები. სამმართველოს საქმიანობის უპირველეს ფუნქციას “საუკეთესო, დამოუკიდებელი სამეცნიერო სახის რეკომენდაციების მომზადება” წარმოადგენს, რომელიც სურსათის უვნებლობის პოლიტიკაზე პირდაპირ, ან არაპირდაპირ ახდენს გავლენას. აქიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამმართველო სასურსათო რისკების შეფასების მთავარი ავტორია ევროპის ბაზარზე. სამმართველო ევროკომისიას უზრუნველყოფს ყველა საჭირო სამეცნიერო და ტექნიკური მხარდაჭერით იმ საკითხების გარშემო, რაც მისი საქმიანობის კომპეტენციას წარმოადგენს. მის ფუნქციაში შედის ასევე ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში მსგავს საკითხებზე

მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობის კოორდინაცია. სამმართველო ასევე ვალდებულია დროულად აცნობოს საზოგადოებას სასურსათო საფრთხეების შესახებ, თუკი ასეთი რამ შეიძინება, ანუ შეასრულოს რისკის კომუნიკატორის ფუნქცია და ოპერატიულად უზრუნველყოს საიმედო, ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

საზოგადოდ, ნებისმიერი რისკის მართვის საწყის წერტილს ამ რისკის იდენტიფიკაცია წარმოადგენს. ამ მხრივ სამმართველო დამოუკიდებლად ახორციელებს რისკების იდენტიფიკაციას. კანონის 34-ე მუხლის თანახმად, აუცილებელია სურსათის უვნებლობის პოლიტიკის სისტემატიური მონიტორინგი, საჭირო ინფორმაციის დროული შეგროვება და შემდეგ მისი ანალიზი, რათა აღრეულ სტადიაზე იქნეს აღმოჩენილი შესაძლო რისკები. ამასთანავე, მიღებულია, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ სურსათთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია სამმართველოს მიეწოდოს. თუკი შეინიშნება სასურსათო საფრთხეების არსებობა, ასეთ შემთხვევაში სამმართველო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, შესაბამის სააგენტოებსა და ევროკომისიას უკავშირდება, რათა დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოს რისკის შესაძლო განვითარების შესახებ. ამის შემდეგაც იგი მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახდენს რისკის შეფასებას და შესაბამისად, წევრ ქვეყნებს, ევროკომისიასა და ევროპარლამენტს აცნობებს შედეგებს. ის ფაქტი, რომ სამმართველო აქტიურად მუშაობს რისკების იდენტიფიკაციაზე, იმაზე მეტყველებს, რომ ამით სასურსათო საფრთხის შემთხვევების შემცირებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

სურსათის უვნებლობის ევროპული სამმართველოს ორგანიზაციული სტრუქტურა.

მისი შემადგენელი ერთეულებია: მმართველთა საბჭო, აღმასრულებელი დირექტორი და მდივანი, მრჩეველთა ფორუმი და სამეცნიერო ხანელი. ვალდებულებების გადანაწილება და მათი შესაბამისად შესრულება კანონის ფარგლებშია განსაზღვრული. სამმართველოს მრჩეველთა ფორუმზე საკუთარი წარმომადგენელი ჰყავთ, მათი მონაწილეობა თანამშრომლობითი ფორმისაა. ამასთანავე, ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია, შექმნას საკუთარი შესაბამისი ორგანო, რომელიც კომისიასთან ითანამშრომლებს და მოახდენს სასურსათო პოლიტიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო ხასიათის ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზს, ჩაატარებს ფართო მასშტაბიან კვლევებს, რისკების შეფასების შესახებ მოამზადებს მოხსენებებს, რის შემდეგაც ყველა ეს ინფორმაცია შემდეგ სამმართველოს გადაეცემა.

სურსათის უვნებლობის ევროპული სამმართველოს ერთობლივი კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები. რისკების შეფასების საქმიანობაში ამ სამმართველოს დამატებით მხარდაჭერას უწევენ ევრეთ წოდებული მრჩეველთა ლაბორატორიები. მათი იურიდიული საფუძველი №882/2002 და №178/2002 რეგულირების მიხედვითაა განსაზღვრული. ამ უკანასკნელის 32-ე მუხლის თანახმად, ასეთი სახის ლაბორატორიები რისკების შეფასების

ფართო ევროპული ქსელის ქვაკუთხედს წარმოადგენენ, რისი მეშვეობითაც ეს ქსელი სასურსათო უვნებლობის ევროპულ სამმართველოს უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში ლაბორატორიების მთავარ ფუნქციას ანალიტიკური და ტექნიკური მეთოდების შესახებ ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს, ისევე როგორც ევროკომისიისათვის სამეცნიერო და ტექნიკური ხასიათის დახმარებით უზრუნველყოფა. რაც შეეხება უშუალოდ სასურსათო უვნებლობის სფეროს, დღეისათვის ამ საკითხზე 13 ლაბორატორია მუშაობს. კერძოდ, ექვსი ბიოლოგიურ რისკებზე; ოთხი ნარჩენებზე; ერთი საკვებ პროდუქტებზე; ერთი გენმოდულირებულ ობიექტებზე (GMOs) და ერთი სასურსათო პროდუქციასთან დაკავშირებულ მასალებზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლაბორატორიების რამდენიმე ფუნქცია თანდათანობით სამმართველოს საქმიანობის საგანი ხდება. კერძოდ, მონიტორინგი, მონაცემების შეგროვება და მათი ანალიზი.

რისკების შეფასების მიდგომის ჰარმონიზაცია. რისკებთან მიმართებაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა წევრ ქვეყანას რისკის იდენტიფიკაციის საკუთარი მეთოდოლოგია აქვს შემუშავებული და მას შესაბამისად იყენებს რისკების შეფასებისას. აქიდან გამომდინარე, ევროკომისიამ რისკების შეფასების ჰარმონიზებული კონცეფციის შესაქმნელად აქტიური მუშაობა დაიწყო. ამ ინიციატივის საფუძველზე, სამმართველომ პრიორიტეტული სფეროები გამოყო, სადაც ჰარმონიზებული მიდგომა აუცილებელია. შესაბამისად, იგი დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს რისკების შეფასების საკუთარი პოლიტიკის შექმნაზე და ცდილობს წევრი ქვეყნებისათვის დანერგოს საერთო მეთოდოლოგიური მიდგომები, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც რამდენიმე განსხვავებული შეფასებები გამოიყენება.

წევრი სახელმწიფოების როლი რისკების შეფასებაში. რისკების შეფასების პოლიტიკაში წევრ ქვეყნებს საკუთარი წვლილი შეაქვთ. კერძოდ, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ შესაძლო საფრთხეების დროულად გაფრთხილების საკითხში, ახდენენ რისკების მონიტორინგსა და სათანადო ინფორმაციის მოპოვებას.

რისკების მართვა.

ევროკომისიის დონეზე რისკების შეფასება რისკების მართვაში ანუ მენეჯმენტშია ინტეგრირებული, რომელსაც თავის მხრივ ევროკავშირის ინსტიტუტები ახორციელებენ, კერძოდ ევროკომისია. კანონის თანახმად, რისკის მართვა მოიცავს ალტერნატიული გადაწყვეტილებების შეფასებას, დაინტერესებულ მხარესთან სისტემატიურ კონსულტაციებსა და განხილვებს, სამმართველოს მიერ მეცნიერულად დასაბუთებული რისკისა და სხვა სახის

საკანონმდებლო, სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ და პოლიტიკურ განხილვებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასურსათო უსაფრთხოების რეგულირების სფეროში

დანართში გთავაზობთ დიაგრამას, სადაც მოცემულია ევროკავშირის სასურსათო რეგულირების ინსტიტუციონალური სტრუქტურა. როგორც ხედავთ, ძირითადი ვადებულებები სამმართველოსა და ევროკომისიას შორისაა გადანაწილებული. კერძოდ, სამმართველო ძირითადად ორიენტირებულია რისკების შეფასება-იდენტიფიცირებაზე, მაშინ როდესაც ევროკომისია უკვე არსებული რისკების მართვას ახორციელებს. ვადებულების ასეთი დანაწილება, იმის დასტურია, რომ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობასა და პარტნიორობის პრინციპებზეა დამყარებული, რაც საკმაოდ ეფექტიანად ხორციელდება.

რისკების მართვის მონაწილე მხარეები. როგორც აღვნიშნეთ, ევროკომისია მთლიანადაა პასუხისმგებელი სურსათო უვნებლობის რისკების მართვაზე. მისი საქმიანობა უამრავი სამართლებრივი უზრუნველყოფითაა გამყარებული, რათა არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროკომისია სისტემატიურად თანამშრომლობს სხვადასხვა კომიტეტებთან. კერძოდ, საკვები პროდუქტებისა და ცხოველთა კვების მუდმივმოქმედ კომიტეტთან. აღნიშნული კომიტეტი კანონის ფარგლებში შეიქმნა, რის მიხედვითაც, იგი დაყოფილია რვა მთავარ სექციად. კომიტეტი შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან და მას ევროკომისიის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს. ამასთანავე, № 178/2002 რეგულაციის თანახმად, ერთმანეთისაგან მკაფიოდაა გამიჯნული (როგორც ფუნქციურად, ასევე ინსტიტუციონალურად) რისკების შეფასება და მათი მართვა. გამიჯნულია თუნდაც კრიზისული სიტუაციების მართვა, რომლის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა რეგულაციის შესაბამისად ასევე ევროკომისიას აქვს გადაცემული.

კრიზისული მენეჯმენტი, მოსალოდნელი რისკების დროული გამოვლინების სისტემა. რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის გარდა, აუცილებელია ასევე მათი არსებობის შესახებ დროული ინფორმირებულობის ეფექტიანი სისტემის შექმნა, განსაკუთრებით ისეთი სახის რისკებისა, რომლებიც უეცარი დაავადებების გამომწვევი ვირუსების გავრცელებასთანაა დაკავშირებული, რაც ბაზარზე არსებული დაბინძურებული, ან დასნეულებული პროდუქტებისაგან ვრცელდება. ამ მხრივ, კრიზისული მენეჯმენტი საკმაოდ აქტუალურია, ოპერატიული შეტყობინების მექანიზმის არსებობა კანონითაა განმტკიცებული, რაც მოულოდნელი შემთხვევების ეფექტურად გადაწყვეტას ემსახურება. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1979 წელს შეიქმნა საკვები პროდუქტების მგომარეობის შესახებ დროული შეტყობინების სისტემა. აღნიშნული სისტემის მიზანია, მონიტორინგი ჩაატაროს იმ კვების პროდუქტებზე,

რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. სისტემა, რომელიც თავის მხრივ, კომისიას ექვემდებარება, დაინტერესებული მხარეების ფართო ქსელს ქმნის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ სისტემაში გაერთიანების საშუალება ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებსაც ეძლევათ. კანონის თანახმად, სისტემის ყველა წევრი ვალდებულია, რაც შეიძლება ოპერატიულად შეატყობინოს ევროკომისიას საკვები პროდუქტებისაგან მოსალოდნელი შესაძლო საფრთხის შესახებ, ისევე როგორც ახსნას ყველას ის შესაძლო შედეგი, რაც არსებულმა საფრთხემ შეიძლება გამოიწვიოს. ამის შემდეგ ევროკომისია აღნიშნული ფაქტის არსებობის შესახებ ქსელის სხვა წევრებს აცნობებს.

რისკების შეტყობინება, კომუნიკაცია


ევროკომისია, როგორც ე.წ. “რისკების მენეჯერი”, რისკების შეფასების, მართვისა და მათი მონიტორინგის კომუნიკაციას ახორციელებს. სამმართველო, როგორც რისკების შემფასებელი, საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას რისკის არსებობის შესახებ. აუცილებელია, რომ სასურსათო საფრთხეების შესახებ მოსალოდნელი მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაცია დროულად, ეფექტიანად და ყოვლისმომცველად მიეწოდოს მომხმარებელს, დაინტერესებულ მხარეებსა და ზოგადად, საზოგადოებას. სურსათის უვნებლობის ევროპული სამმართველოს მრჩეველთა ფორუმის სამუშაო ჯგუფი, რომელიც კომუნიკაციებზე მუშაობს, ვალდებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუდმივად მოახდინოს დაინტერესებული მხარეების ინფორმირება. კანონით გათვალისწინებულია, რომ სამმართველომ მუდმივად უნდა ითანამშრომლოს ევროკომისიასა და წევრ ქვეყნებთან. ამასთან, ყველა წევრი ქვეყნის შესაბამისი ორგანო პასუხისმგებელია აქტიურად ჩაერთოს კომუნიკაციის ერთიან პროცესში.

სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები. რეგულირება № 178/2002 საჯაროდ ითვალისწინებს, რომ სააგენტო მუდმივად ინარჩუნებდეს კავშირებს ყველა დაინტერესებულ ორგანოსთან. როგორც პრეამბულაშია მოხსენიებული, აუცილებელია, რომ ყველა, მათ შორის, მომხმარებელი, სავაჭრო პარტნიორები და სხვა მიზნობრივი მხარე აქტიურ მონაწილეობას იღებდეს სურსათის უვნებლობის როგორც ინსტიტუციონალური, ასევე სამართლებრივი რეგულირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კერძოდ, აღნიშნული რეგულაციის მე-9 მუხლის თანახმად, კონსულტაციები უნდა იყოს ღია და საჯარო, რომელშიც ჩართული იქნება საზოგადოება, წარმომადგენელი მხარეები, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად ზრდის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს.

ევროკავშირის ინსტიტუტები მუდმივად მუშაობენ სურსათის უვნებლობის და მისი რისკების შეფასებასა და მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებაზე,

რომელიც ჰარმონიზებულის ევროკავშირის დონეზე და მასში წარმოდგენილია წევრი ქვეყნების ერთობლივი “ევროპული” ინტერესები.

ევროკავშირის სასურსათო რეგულირების ინსტიტუციონალური
სტრუქტურა



გამოყენებული წყაროები:

სურსათის რეგულირება ევროკავშირში, შედარებითი ინსტიტუციონალური ანალიზი,

ავტ: ე. ვოსი, ფ. ვენდლერი, 2006 წელი;

სურსათის უვნებლობის კანონი ევროკავშირში: შესავალი, ავტ: ვან დერ მოულენ ბერნდი, ვან დერ ველდე, მენსო; 2006 წელი;

სურსათის უვნებლობა და გარემოს რეგულირება, ავტ: ჯ. ვენა, 2006 წელი;

სურსათის უვნებლობა და საერთაშორისო სტანდარტები, ავტ: ნაომი რიისი, დევიდ ვოტსონი, 2001 წელი;

სურსათის უვნებლობის ევროპული სამმართველოს ოფიციალური ვებ-გვერდი: www.efsa.com;

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი: www.who.com;

ევროკავშირის ოფიციალური ვებ-პორტალი სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის შესახებ: http://europa.eu/pol/agr/index_en.htm.